შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	საჯარო მმართველობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Public Adimistration

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური

სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	0413.1.3 საჯარო მმართველობის ბაკალავრი
ინგლისურად:	0413.1.3 Bachelor of Public Administration
საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	

დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით №01/05-111; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის №01/01–13 ბრძანებით და კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N01/01-41 ბრძანებით. პროგრამა განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2019 წლის 17 მაისის #01/01-41 ბრძანებით. განახლებულია 2021 წლის 9 მარტს, ბრძანება # 01/01-12.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ეკა აკობია ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ემირ ეთერია
ინფორმაცია იხ. “ პროგრამის ხელმძღვანელის CV”	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 14 დეკემბრის №01/01-48 ბრძანებით

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 240 ECTS კრედიტის შესაძლო განაწილების სქემა:

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. მათ შორის:

ა. 15 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები

ბ. 20 კრედიტი - ინგლისური ენა

გ. 20 კრედიტი - მეორე უცხო ენა

დ. 125 კრედიტი - დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები

180 ECTS კრედიტის გარდა სტუდენტს საშუალება ეძლევა დანარჩენი 60 ECTS კრედიტი აირჩიოს: 60 ECTS კრედიტის ოდენობის სასწავლო კურსები ამავე პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი არჩევითი მოდულიდან და/ან არაუმეტეს 20 თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხისათვის (საჯარო მმართველობის ბაკალავრი) საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის საჯარო მმართველობის დარგთან ასოცირებული სუბ-დისციპლინების შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბაკალავრს უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიული ორიენტაციის საშუალებას მისცემს.

პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა, მათი ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტის განაწილების სქემა შემდეგია:

<u>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი</u> ორიენტირებულია წერითი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.

<u>უცხოური ენების კომპონენტი</u> ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაცო ენის, და მეორე ენის, როგორც დამხმარე ენის, სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით, უცხოურ ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ინტეგრაციაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე.

მეორე უცხოურ ენად სტუდენტი შეისწავლის ფრანგულ/გერმანულ/ესპანურ/რუსულ/თურქულ ენებს. მეორე უცხო ენაში B1 და მეტი დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მეორე უცხო ენის სწავლების 20 კრედიტის ნაცვლად აირჩიოს საგნები დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნებიდან.

<u>სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი</u> ორიენტირებულია სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებაზე პროფესიული კუთხით. პროგრამაში შეტანილია სოციალურ მეცნიერებათა საგნები, სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის ძირითადი კონცეფციები და თეორიები, მენეჯმენტის

საფუძვლები, ორგანიზაციული თეორია და ორგანიზაციებში მაღალი შედეგიანობის, მწარმოებლურობისა და ეფექტურობის მიღწევის გზები. სპეციალობის სავალდებელო საგანთა ნუსხაში შედის ეკონომიკისა და სამართლის საგნები, რომლებიც სტუდენტებს აძლევს საბაზისო ცოდნას ეკონომიკაში, სახელმწიფო ბიუჯეტირებასა და ფინანსებში, მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში და საქართველოს ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ სამართალში. სასწავლო კურსები ორიენტირებულია სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

<u>სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი</u> სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად და აირჩიოს დარგობრივი და პროფესიული არჩევითი კურსებიდან მისთვის სასურველი საგნები. დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნების მოდული იძლევა ცოდნას იმ სფეროებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საჯარო მოხელის საქმიანობასთან. ამ მოდულის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობების საგნებს, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, მიიღონ ზოგადი ცოდნა საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ძირითადი პრონციპების შესახებ.

თავისუფალი კრედიტები (20 ECTS) სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ჩაეთვალოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი ისწავლება ინგლისურ ენაზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა - პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება დადგენილ ვადაში.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი ცოდნითა და ღირებულებებით აღჭურვილი სახელმწიფო მართვის სპეციალისტები, რომლებსაც საფუძვლიანად ესმით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა; შეუძლიათ იმუშაო საჯარო ან კერძო სფეროში ორგანიზაციული მართვის და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით; გააზრებული აქვთ სამართლისა და კანონმდებლობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფო მოწყობის და მართვის პროცესში; შესწევთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი და კრიტიკულად იაზრებენ საჯარო ორგანიზაციებისა და პოლიტიკის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქვთ ცოდნა და პრაქტიკული უნარი მონაწილეობა მიიღონ, დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო სექტორის, პოლიტიკური სისტემის, საჯარო ინსტიტუტების აღმშენებლობაში. კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა 1კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება”. კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიურ გეგმას.
სწავლის შედეგები	**ცოდნა:** 1. აქვს საჯარო მმართველობის, პოლიტიკის ანალიზის, მენეჯმენტისა და ორგანიზაციული მართვის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება; 2. საჯარო მმართველობაში პროცესებს, აქტორებს და ქცევებს აანალიზებს პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ევოლუციის ჭრილში; 3. შეუძლია საჯარო მმართველობაში ჩართული აქტორებისა და პროცესების ინტერდისციპლინური გააზრება მომიჯნავე დისციპლინების ცოდნის საფუძველზე. **უნარები:** 4. აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიუსადაგებს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს; 5. შესწევს უნარი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით, გააანალიზოს საჯარო მმართველობასა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა; 6. გააჩნია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. გააჩნია დარგის ფარგლებში ლიდერული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო ეთიკური ნორმების აღქმა და შესაბამისი კომპეტენციები; 8. ხელმძღვანელობს ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიული ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ

	დასამკვიდრებლად.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს ხელისუფლების სამივე შტოში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის სხვადასხვა პროცესის/სფეროს მართვის მიმართულებით.
სწავლის გაგრძელების საშუალება	პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.
სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.
სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის სფეროს ფართო ცოდნის მინიჭებაზე, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება სახელმწიფო მართვაში. ლექციებზე და ნებისმიერი ტიპის სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმისა და მიღწევების განხილვას ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის ჭრილში.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (**Case study**) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (e-**learning**) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა და ა.შ) გამოკითხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

- 3 პროფესორი; 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 40 მოწვეული ლექტორი.

საბაკალავრო პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:

- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ფარლი დიკენსონის უნივერსიტეტი (აშშ), 14.02.2019
- ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), 29.01.2019
- ლვოვის კომერციის აკადემია (უკრაინა), უნივერსიტეტებს შორის, უვადო
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

პარტნიორი ორგანიზაციები:

- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი
- ა(ა)იპ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)
- ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)
- საქართველოს პარლამენტი (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- მუნიციპალური განვითარების ფონდი
- ააიპ ევროპის სახლი
- ააიპ ფონდი კავკასიის უნივერსიტეტი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ლიბერალური ხედვების ასოციაცია
- ააიპ დემოკრატიის ჟანგბადი
- თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
- ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგების სააგენტო
- ააიპ ახალგაზრდა ფინანსთა და ეკონომისტთა ასოციაცია
- არასამთავრობო ორგანიზაცია "World Vision" International-ის ფილიალი საქართველოში
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრი
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველო
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი

- სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი
- სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- EY Georgia
- KPMG Georgia
- PwC Georgia
- Deloitte & Touche
- Adizes Institute

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- ✓ სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- ✓ მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის დარბაზი;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- ✓ კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 12 290 ერთეული ბეჭდური და 3192 ერთეული ელექტრონული რესურსი). ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 4 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- ✓ Cambridge Journals Online
- ✓ e-Duke Journals Scholarly Collection
- ✓ Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book
- ✓ Royal Society Journals Collection
- ✓ Taylor And Francis Online
- ✓ EBSCO Elit package

- ✓ International Security & Counter Terrorism Reference Center

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის, გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი, დამატებით ორი ასეთი კლასის ორგანიზება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე "A" სართულზეც. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Nortel"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	
საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.	

კურიკულუმი	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის
სილაბუსები	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის

საჯარო მმართველობის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			სავალდებულო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები	**5**	**10**							**15**
1.	CIS 1151	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								
2.	HIST 0003	არ აქვს	საქართველოს ისტორია		5							
3.	AW 1250	არ აქვს	აკადემიური წერა		5							
			ინგლისური ენა (სავალდებულო)	**5**	**5**	**5**	**5**					**20**
4.	ENGL 0005	არ აქვს	B1.0 ზოგადი ინგლისური	5								
5.	ENGL 0007	არ აქვს	B2.0 ზოგადი ინგლისური									
6.	ENGL 0006	ENGL 0005	B1 ზოგადი ინგლისური		5							
7.	ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური									
	ENGL 0007	ENGL 0006	B2,0 ზოგადი ინგლისური			5						
8.	ENGL 0009	ENGL 0008	C1.0 ზოგადი ინგლისური									
	ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური/				5					
9.	ENGL 0010	ENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური									

			მეორე უცხო ენა (სავალდებულო)					**5**	**5**	**5**	**5**	**20**
10.	FREN 0001, ESP 0001, GERM 0001, RUS 0001, TURK 0001, ITA 0001, CHINA 0001, FARS 0001.	არ აქვს	უცხო ენა, I ნაწ. (A1.0)					**5**				
11.	FREN 0002, ESP 0002, GERM 0002, RUS 0002, TURK 0002, ITA 0002, CHINA 0002, FARS 0002	უცხო ენა, I ნაწ A1.0	უცხო ენა, II ნაწ. (A1)						**5**			
12.	FREN 0003, ESP 0003, GERM 0003, RUS 0003, TURK 0003, ITA 0003, CHINA 0003, FARS 0003	უცხო ენა, II ნაწ A1	უცხო ენა, III ნაწ. (A2.0)							**5**		
13.	FREN 0004, ESP 0004, GERM 0004, RUS 0004, TURK 0004, ITA 0004, CHINA 0004, FARS 0004	უცხო ენა, III ნაწ A2.0	უცხო ენა, IV ნაწ. (A2)								**5**	
			დარგობრივი სავალდებულო საგნების მოდული	**20**	**15**	**25**	**25**	**15**	**15**	**5**	**5**	**125**
14.	SOCP 1150	არ აქვს	სოციალური ფსიქოლოგია	5								
15.	DEC 1150	არ აქვს	დემოკრატია და მოქალაქეობა	5								
16.	CIVI 1150	არ აქვს	კულტურა და ცივილიზაცია	5								
17.	PHIL 1150	არ აქვს	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	5								

18.	PPI 1250	არ აქვს	პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები		5							
19.	POLS 1250	არ აქვს	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში		5							
20.	STAT 1250	არ აქვს	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები		5							
21.	IR 2150	არ აქვს	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში			5						
22.	PA 2150	არ აქვს	შესავალი სახელმწიფო მართვაში			5						
23.	LAW 2150	არ აქვს	სამართლის საფუძვლები			5						
24.	QQDA 2151	არ აქვს	კვლევის მეთოდები			5						
25.	ECON 2150	არ აქვს	შესავალი ეკონომიკაში			5						
26.	COMP 2250	არ აქვს	შესავალი შედარებით პოლიტიკაში				5					
27.	HRD 2250	არ აქვს	ადამიანის უფლებები და დემოკრატია				5					
28.	LAW 2255	LAW 2150	კონსტიტუციური სამართალი				5					
29.	PFM 2250	ECON 2150	საჯარო ფინანსების მართვა				5					
30.	MGT 2250	არ აქვს	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი				5					
31.	ENGP 0150	ENGL 0008/ENGL 0010	PT1 პროფესიული სამიზნე ენა					5				
32.	LAW 2254	LAW 2150	ადმინისტრაციული სამართალი					5				
33.	PBUG 3250	ECON 2150	სახელმწიფო ბიუჯეტირების საფუძვლები					5				
34.	PMAN 3150	არ აქვს	პერსონალის მართვა საჯარო სექტორში						5			
35.	LDR 3250	არ აქვს	ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში						5			
36.	PPA 3250	არ აქვს	შესავალი საჯარო პოლიტიკაში						5			
37.	STST 4150	არ აქვს	სტრატეგიული სწავლებები							5		
38.	EGOV 4250	არ აქვს	ელექტრონული მმართველობა								5	
			დარგობრივი არჩევითი საგნების მოდული/თავისუფალი კრედიტები					**10**	**10**	**20**	**20**	**60**
39.	POLS 0050	არ აქვს	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები					5				
40.	ICOM 0050	არ აქვს	კულტურათაშორისი კომუნიკაციები					5				
41.	LAW 0050	არ აქვს	სამოხელეო სამართალი					5				
42.	DEMO 0050	არ აქვს	დემოკრატიზაცია					5				
43.	PR 0050	არ აქვს	საზოგადოებასთან ურთიერთობა						5			
44.	PFDP 0050	არ აქვს	საუბრები საჯარო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე						5			
45.	DA 0050	არ აქვს	მონაცემთა ანალიზი (არჩევითი)						5			
46.	SOCI 0050	არ აქვს	შესავალი სოციოლოგიაში						5			

47.	OGC 0050	არ აქვს	ორგანიზაციული და ჯგუფური კონფლიქტების მართვა						5		
48.	MEPG 0050	არ აქვს	თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და საქართველო						5		
49.	GES 0051	არ აქვს	სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა						5		
50.	RIA 0050	არ აქვს	რეგულირების გავლენის შეფასება						5		
51.	PPPA 0050	არ აქვს	სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების ადმინისტრირება						5		
52.	CPA 0050	PA 2150	შედარებითი სახელმწიფო მართვა							5	
53.	LSG 0050	არ აქვს	ადგილობრივი თვითმმართველობა							5	
54.	WE 0050	არ აქვს	მსოფლიო ეკონომიკა							5	
55.	MS 0050	არ აქვს	მართვის სოციოლოგია							5	
56.	GPAR 0050	არ აქვს	საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები							5	
57.	MGS 0050	არ აქვს	პროექტის მართვა							5	
			საერთაშორისო პოლიტიკის მოდული								
58.	IO 0051	არ აქვს	საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა					5			
59.	GFDP 3250	არ აქვს	საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა					5			
60.	IPS 0050	არ აქვს	შესავალი მშვიდობის კვლევებში					5			
61.	PIE 0050	არ აქვს	ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა					5			
62.	RUFP 0050	არ აქვს	რუსეთის საგარეო პოლიტიკა						5		
63.	USFP 4150	არ აქვს	ამერიკის საგარეო პოლიტიკა						5		
64.	IPE 0050	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები						5		
65.	EUGA 0050	არ აქვს	ევროპული ინტეგრაცია ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების კონტექსტში						5		
66.	PCPD 4150	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია და საჯარო დიპლომატია						5		
67.	ES 0050	არ აქვს	ენერგეტიკული უსაფრთხოება							5	
68.	CMN 0050	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები							5	
69.	GEOP 4250	არ აქვს	სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა							5	

ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	
	წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**		

შენიშვნა:

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ვრცელდება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი\ სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	შუალედური/და სკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5	12	12		4	2	95
2.	საქართველოს ისტორია	5	14	10		4	2	95
3.	აკადემიური წერა	5	18	6		4	2	95
4.	მონაცემთა ანალიზი	5	12	12		4	2	95
5.	B1.0 ზოგადი ინგლისური	5	26	38		4		57
6.	B2.0 ზოგადი ინგლისური	5	26	38		4		57
7.	B1 ზოგადი ინგლისური	5	26	38		4		57
8.	B2 ზოგადი ინგლისური	5	26	38		5		56
9.	C1.0 ზოგადი ინგლისური	5	26	38		4		57
10.	C1 ზოგადი ინგლისური	5	26	38		4		57
11.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) FREN 0001	5	26	38		4		57
12.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) ESP 0001,	5	42	22		4		57
13.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) GERM 0001,	5	40	24		4		57
14.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) RUS 0001,	5	26	38		4		57
15.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) TURK 0001	5	26	38		4		57
16.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0) ITA 0001	5	26	38		4		57
17.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0)CHINA 0001	5	26	38		4		57
18.	უცხო ენა, I ნაწ (A1.0)FARS 0001	5	26	38		4		57
19.	უცხო ენა, II ნაწ (A1) FREN 0002	5	26	38		4		57
20.	უცხო ენა, II ნაწ (A1) ESP 0002	5	42	22		4		57
21.	უცხო ენა, II ნაწ (A1) GERM 0002,	5	40	24		4		57
22.	უცხო ენა, II ნაწ (A1) RUS 0002	5	26	38		4		57
23.	უცხო ენა, II ნაწ (A1) TURK 0002	5	26	38		4		57
24.	უცხო ენა, II ნაწ (A1) ITA 0002	5	26	38		4		57
25.	უცხო ენა, II ნაწ (A1) CHINA 0002	5	26	38		4		57
26.	უცხო ენა, I ნაწ (A1.)FARS 0002	5	26	38		4		57
27.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0); FREN 0003	5	26	38		4		57
28.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0); ESP 0003	5	42	22		4		57
29.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0) GERM 0003	5	40	24		4		57
30.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0) RUS 0003	5	26	38		4		57
31.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0) TURK 0003	5	26	38		4		57
32.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0) ITA 0003	5	26	38		4		57

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი\სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	შუალედური/და სკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
33.	უცხო ენა, III ნაწ (A2.0) CHINA 0003	5	26	38		4		57
34.	უცხო ენა, I ნაწ (A2.0)FARS 0003	5	26	38		4		57
35.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) FREN 0004	5	26	38		4		57
36.	უცხო ენა, IV ნაწ (A2); ESP 0004	5	42	22		4		57
37.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) GERM 0004	5	40	24		4		57
38.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) RUS 0004	5	26	38		4		57
39.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) TURK 0004	5	26	38		4		57
40.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) ITA 0004	5	26	38		4		57
41.	უცხო ენა, IV ნაწ (A2) CHINA 0004	5	26	38		4		57
42.	უცხო ენა, I ნაწ (A2)FARS 0004	5	26	38		4		57
43.	სოციალური ფსიქოლოგია	5	12	12		4	2	95
44.	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	24	5		4	3	89
45.	კულტურა და ცივილიზაცია	5	14	10		4	2	95
46.	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	5	14	10		4	2	95
47.	პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები	5	14	10		4	2	95
48.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	16	8		4	2	95
49.	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	6	16	16		4		89
50.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	17	7		4	2	95
51.	შესავალი სახელმწიფო მართვაში	5	15	9		4	2	95
52.	სამართლის საფუძვლები	5	20	10		4	2	89
53.	კვლევის მეთოდები	5	18	6		4	2	95
54.	შესავალი ეკონომიკაში	6	20	10		4	2	89
55.	შესავალი შედარებით პოლიტიკაში	5	14	10		4	2	95
56.	ადამიანის უფლებები და დემოკრატია	5	14	10		4	2	95
57.	კონსტიტუციური სამართალი	5	14	10		4	2	95
58.	საჯარო ფინანსების მართვა	5	16	8		4	2	95
59.	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი	5	14	10		4	2	95
60.	PT1 პროფესიული სამიზნე ენა	6	18	12		4	2	89
61.	ადმინისტრაციული სამართალი	5	14	10		4	2	95
62.	სახელმწიფო ბიუჯეტირების საფუძვლები	5	13	11		4	2	95
63.	პერსონალის მართვა საჯარო სექტორში	5	14	10		4	2	95
64.	ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში	5	14	10		4	2	95
65.	შესავალი საჯარო პოლიტიკაში	5	14	10		4	2	95
66.	სტრატეგიული სწავლებები	5	14	10		4	2	95

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი\სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	შუალედური/და სკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოკვლევისათვის მზადება
67.	ელექტრონული მმართველობა	5	14	10		4	2	95
68.	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები	5	14	10		4	2	95
69.	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	5	14	10		4	2	95
70.	სამოხელეო სამართალი	5	14	10		4	2	95
71.	დემოკრატიზაცია	5	14	10		4	2	95
72.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	5	14	10		4	2	95
73.	საუბრები საჯარო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე	5	14	10		4	2	95
74.	პროექტის მართვა	5	14	10		4	2	95
75.	ორგანიზაციული და ჯგუფური კონფლიქტების მართვა	5	15	9		4	2	95
76.	თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და საქართველო	5	14	10		4	2	95
77.	სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა	5	14	10		4	2	95
78.	რეგულირების გავლენის შეფასება	5	14	10		4	2	95
79.	სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების ადმინისტრირება	5	15	9		4	2	95
80.	შედარებითი სახელმწიფო მართვა	5	14	10		4	2	95
81.	ადგილობრივი თვითმმართველობა	5	15	9		4	2	95
82.	მსოფლიო ეკონომიკა	5	14	10		4	2	95
83.	შესავალი სოციოლოგიაში	5	13	11		4	2	95
84.	მართვის სოციოლოგია	5	14	10		4	2	95
85.	საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები	5	14	10		4	2	95
86.	საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა	5	14	10		4	2	95
87.	საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა	5	14	10		4	2	95
88.	შესავალი მშვიდობის კვლევებში	5	14	10		4	2	95
89.	ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა	5	14	10		4	2	95
90.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	14	12		4		95
91.	ამერიკის საგარეო პოლიტიკა	5	15	9		4	2	95
92.	ენერგეტიკული უსაფრთხოება	5	14	10		4	2	95
93.	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები	5	14	10		4	2	95
94.	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები	5	14	10		4	2	95

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი\სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	შუალედური/და სკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
95.	ევროპული ინტეგრაცია ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთახნმების კონტექსტში	5	13	11		4	2	95
96.	პოლიტიკური კომუნიკაცია და საჯარო დიპლომატია	5	13	13		4		95
97.	სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა	5	13	11		4	2	95

I. სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები

სემესტრი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კურსის სწავლის შედეგები პროგრამასთან მიმართებაში							
		სშ1: აქვს საჯარო მმართველობის, ჯანდაცვის ანალიზის, მენეჯმენტისა და ორგანიზაციული მართვის ფუნდამენტური კონცეფციების და თეორიების სფეროლოგიური ცოდნა და შეიძლება მათი პრაქტიკაში გამოყენება;	სშ 2: საჯარო მმართველობაში პროცესებს, აქტორებს და ქცევებს ანალიზებს ჯანდაცვა და ფიზიკურ აზრის ეფექტიანობის ჭრილში; იცნობს სახელმწიფო მართვისა და ჯანდაცვის სხვადასხვა სისტემებს და ძირითად იდეოლოგიებს.	სშ 3: შეეძლია საჯარო მმართველობაში ჩართული აქტორებისა და პროცესების ინტერდისციპლინური გაანალიზება მიმეორებადი დისციპლინების ცოდნის საფუძველზე.	სშ 4: ანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიეფესდაგების საჯარო მმართველობისა და ჯანდაცვის პროცესებს, ჯრიმბლემატიკასა და ინსტრუმენტებს.	სშ 5: შესწავს ენასრი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით გაანალიზოს საჯარო მმართველობასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიჩნევა ინფორმაციის დამუშავის და გამოტანის არგუმენტირებული დასკვნა.	სშ 6: გააჩნია საჯარო მმართველობის და ჯანდაცვის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის ოცხარ ენაზე.	სშ 7: გააჩნია დარგის ფარგლებში ჯანდაცვა პროტენციალის რეალიზაციისეს საჭირო ეთიკური ნორმების ან და შესაბამისი კომპეტენციები.	სშ 8: ხელმძღვანელობს ზოგადსაკლიზრო და დემოკრატიული ორგანიზაციებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პრაქტიკაში და ისწავლის მათ დასმკვიდრებლად.
	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი								
I	საინფორმაციო ტექნოლოგიები					80 %	80 %	80 %	
II	საქართველოს ისტორია	80 %	80 %		80 %				

II	აკადემიური წერა					80 %	80 %	80 %	
I	B1.0 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
I/III	B2.0 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
II	B1 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
II/IV	B2 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
III	C1.0 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
IV	C1 ზოგადი ინგლისური					80 %	80 %	80 %	
V	უცხო ენა, I ნაწ. (A1.0)					80 %	80 %	80 %	
VI	უცხო ენა, II ნაწ. (A1)					80 %	80 %	80 %	
VII	უცხო ენა,III ნაწ. (A2.0)					80 %	80 %	80 %	
VIII	უცხო ენა, IV ნაწ. (A2)					80 %	80 %	80 %	
I	სოციალური ფსიქოლოგია			80 %	80 %	80 %			
I	დემოკრატია და მოქალაქეობა	80 %	80 %						80 %
I	კულტურა და ცივილიზაცია	80 %	80 %		80 %				
I	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	80 %	80 %		80 %				
I	პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები	80 %	80 %		80 %				

II	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში		80 %	80 %	80 %				
II	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები					80 %	80 %	80 %	
III	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	80 %		80 %	80 %				
III	შესავალი სახელმწიფო მართვაში	85%		85%	85%				
III	სამართლის საფუძვლები	80 %		80 %	80 %				
III	კვლევის მეთოდები					80 %	80 %	80 %	
III	შესავალი ეკონომიკაში	80 %		80 %	80 %				
IV	შესავალი შედარებით პოლიტიკაში		85%	85%	85%				
IV	ადამიანის უფლებები და დემოკრატია				80 %			80 %	80 %
IV	კონსტიტუციური სამართალი			85%	85%			85%	
IV	საჯარო ფინანსების საფუძვლები			85%	85%			85%	
IV	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი	85%		85%	85%				
V	PT1 პროფესიული სამიზნე ენა					85%	85%	85%	

VI	ადმინისტრაციული სამართალი		85%		85%			85%	
VI	სახელმწიფო ბიუჯეტირების საფუძვლები		85%		85%			85%	
VI	პერსონალის მართვა საჯარო სექტორში			85%	85%			85%	
VI	შესავალი საჯარო პოლიტიკაში	85%		85%	85%				
VII	ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში			80 %	80 %			80 %	
VII	სტრატეგიული სწავლებები			80 %	80 %			80 %	
VIII	ელექტრონული მმართველობა			80 %	80 %			80 %	
	სპეციალობის არჩევითი კომპონენტი		80 %	80 %				80 %	

II. მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები / პროგრამის სწავლის შედეგები	საჯარო მმართველობის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, ჰიპოთეზების და მიმდინარე დისციპლინების შესახებ ფართო ცოდნით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა დაგეგმილი დამახასიათებელი ჯგუფური ფუნქციებით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა დაგეგმილი დამახასიათებელი ინდივიდუალური ფუნქციებით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა ეფექტიანი საკითხებზე თავისუფალი კომუნიკაციის ელექტრონული ენებით აღჭურვა, მათ შორის ოფიციალურ ენაზე.	სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სუბიექტების აზრდა
1. აქვს საჯარო მმართველობის, პოლიტიკის ანალიზის, მენეჯმენტისა და ორგანიზაციული მართვის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების საფუძვლიანი თეორიული ცოდნა.	X	X	X		
2. საჯარო მმართველობაში პროცესებს, აქტორებს და ქცევებს აანალიზებს პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ევოლუციის ჭრილში; იცნობს სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის სხვადასხვა სისტემებს და ძირითად იდეოლოგიებს.	X	X	X		
3. შეუძლია საჯარო მმართველობაში ჩართული აქტორებისა და პროცესების ინტერდისციპლინური გააზრება მომიჯნავე დისციპლინების ცოდნის საფუძველზე.	X	X	X		
4. აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიუსადაგებს საჯარო მმართველობისა და		X		X	X

პოლიტიკის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს.					
5. შესწევს უნარი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით გაანალიზოს საჯარო მმართველობასა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა.		X	X	X	
6. გააჩნია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე.		X	X	X	
7. გააჩნია დარგის ფარგლებში ლიდერული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო ეთიკური ნორმების აღქმა და შესაბამისი კომპეტენციები.	X	X			X
8. ხელმძღვანელობს ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიული ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.	X	X			X